ხელშეკრულება

ქ.თბილისი **27.11.2019**

ერთი მხრივ შპს „ტელექსი“ ს/კ 404974863 (შემდგომში - ,,მიმწოდებელი'') დირექტორის დიმიტრი ჯღირაძის სახით და მეორე მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის (შემდგომში-შემსყიდველი) მისი დირექტორის **მაია აბრამიძის** სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ,წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბიუჯეტის შემოსავლებით, წიგნების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: წიგნები ბიბლიოთეკისათვის

2.2. კლასიფიკატორი: CPV 22110000

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 104.50 ლარი.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილიასა ქართველო, თბილისი, ვაკე, ჭავჭავაძის გამზირი, შენობა: 38 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიწოდებაც.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაუერბა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველს უფლება აქვს:**

71.1. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან:

7**.2. შემსყიდველი ვალდებულია:**

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.2.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებული:

7.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) სამუშაო დღისა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით.

8.2. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლბით.

8.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეების მიერ მის შეწყვეტამდე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. მხარეთა შორის წარმოშობილი დავები გადაწყვეტილ უნდა იქნეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სხვა პირობები

11.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

112. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და გადაეცა მხარეებს.

12.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

დამკვეთი ***სსიპ ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლა***

მის: **საქართველო, თბილისი, ვაკე, ჭავჭავაძის გამზირი, შენობა: 38**

ს/კ **204859858**

დირექტორი:

მაია აბრამიძე

მიმწოდებელი: **შპს ტელექსი**

მის:**თბილისი, ვაკე, ზაქარია ფალიშვილის № 86**

ს/კ: 404974863

ტელ: 2159191

საქართველოს ბანკი

ა/ა **GE49BG0000000297157100**

დირექტორის მოადგილე :

დიმიტრი ჯღირაძე

მიღება ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი **28.11.2019**

ჩვენ,ქვემოთ ხელისმომწერნი,ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლა (შემდგომში-შემსყიდველი) მისი დირექტორის **მაია აბრამიძის** სახით და მეორეს მხრივ შპს „ტელექსი“ (შემდგომში-მიმწოდებელი),მისი დირექტორის დიმიტრი ჯღირაძის სახით ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ,რომ სსიპ ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლამ ჩაიბარა ,ხოლო „შპს ტელექსმა'“ გადასცა 2019 წლის 27 ნოემბერს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული 104.50 ლარის წიგნები.

ჩაიბარა **ჩააბარა:**

_____ _____

მაია აბრამიძე **დიმიტრი ჯღირაძე**

შპს "ტელექსი"
მის: თბილისი, ვაკე, ზაქარია ფალიშვილის № 86
ტელ - +995 (322) 159191
ს.კ 404974863სს საქართველოს ბანკი **BAGAGE22;**
ა.ა GE49BG0000000297157100

თარიღი: 27.11.2019

ინვოისი 151

სსიპ ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლა
ს/კ 204859858

საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საქონლის ფასი
კომპლექტი - გმირთა ვარამი (1-2ტ)	ცალი	1.000	40.0000	40.00
ქართული საბავშვო მოთხრობების ანთოლოგია	ცალი	1.000	12.9000	12.90
საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია-ტომი II	ცალი	1.000	12.9000	12.90
საბავშვო მოთხრობების ანთოლოგია 3ტ	ცალი	1.000	12.9000	12.90
საბავშვო მოთხრობების ანთოლოგია 4ტ	ცალი	1.000	12.9000	12.90
ქართული საბავშვო ლექსის ანთოლოგია 5 ტომი	ცალი	1.000	12.9000	12.90
		6.000		104.50

დირექტორი: **დიმიტრი ჯღირაძე**